



იუსტიციის
სამინისტრო

დანაშაულის პრევენციის,
არასაკატიმრო სასჯელთა
აღსრულებისა და პრობაციის
ეროვნული სააგენტო
ანგარიში

2024 წელი

სარჩევი

I.	დებულებით გათვალისწინებული საქმიანობა.....	3
1.	არასრულწლოვანთა რეფერირება	3
2.	განრიდება და მედიაცია	8
3.	მსჯავრდებულთა და ყოფილ კატიმართა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია.....	10
4.	კვლევითი საქმიანობა	20
5.	პროფესიული განვითარება	20
6.	საერთაშორისო თანამშრომლობა	21
7.	საქმიანობის სტატისტიკა	23
II.	ადამიანური რესურსების მართვა	25
III.	საფინანსო საკითხები	26
IV.	საზოგადოებასთან ურთიერთობა	27

I. დებულებით გათვალისწინებული საქმიანობა

1. არასრულწლოვანთა რეფერირება

1.1 საქმეთა განაწილება

- ☞ სოციალურ მუშაკებს დაენერათ 195 არასრულწლოვნის საქმე (31 მდედრობითი და 164 მამრობითი სქესის) - 83 საქმე თბილისის ოფისს, 38 საქმე ბათუმის ოფისს, 61 საქმე ქუთაისის ოფისს და 13 საქმე თელავის ოფისს;
- ☞ მომზადდა 131 შეფასების ანგარიში, გაფორმდა 88 და გაგრძელდა 65 ხელშეკრულება. დასრულდა 48 არასრულწლოვნის საქმე, შეჩერდა 115, შეწყდა 22 და აღდგა 48 საქმის წარმოება;
- ☞ სოციალური მუშაკების მიერ ბენეფიციართა ოჯახებში განხორციელდა 512 ვიზიტი;
- ☞ ფსიქოლოგებს დაენერათ 63 ახალი საქმე, შეფასდა 22 ბენეფიციარი. შეფასების მიზნით, ბენეფიციარებთან და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან შედგა 42 შეხვედრა;
- ☞ ცენტრის ფსიქოლოგებმა თბილისსა და რეგიონებში განახორციელეს 102 ინდივიდუალური კონსულტირება 32 ბენეფიციართან. ასევე, 32 მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა 99-ჯერ ისარგებლა ფსიქოლოგის ინდივიდუალური კონსულტირებით. ბინაზე განხორციელდა 40 ვიზიტი;
- ☞ პროექტების მიმართულებით, 2024 წელს სერვისების მიწოდება განხორციელდა 79 ბენეფიციართან;
- ☞ ცენტრის იურისტების მიერ გაიმართა სპეციალისტთა ჯგუფის 183 შეხვედრა. შეფასების ვადა გაუგრძელდა 93 ბენეფიციარს, ხოლო შეუჩერდა 122 ბენეფიციარს, ხელშეკრულების ხელმოწერის ვადა შეუჩერდა 24 ბენეფიციარს.

1.2 სარეაბილიტაციო პროგრამები

- ☞ ფსიქო-სოციალური პროგრამების კოორდინატორის მიერ 33 არასრულწლოვანთან ჩატარდა პროგრამა „სოციალური უნარებისა და სოციალური გადამწყვეტილებების“ 119 ინდივიდუალური სესია (80 ონლაინ სესია და 33 პირისპირ). ასევე, 6 ჯგუფური სესია პირისპირ, რომელსაც ჯამში დაესწრო 3 ბავშვი.
- ☞ „ოჯახის გაძლიერებისა და პოზიტიური აღზრდის პროგრამის“ ფარგლებში, ჩატარდა 51 ინდივიდუალური სესია 14 მშობელთან, პირისპირ. ასევე, 4 ჯგუფური სესია 8 მშობელთან (1 პირისპირ და 3 ონლაინ);

- 📁 პროგრამა „ცხოვრების ჯანსაღი წესის“ ფარგლებში ჩატარდა 21 ინდივიდუალური სესია 7 არასრულწლოვანთან (14 პირისპირ და 7 ონლაინ);
- 📁 ფსიქოლოგის მიერ „სოციალური უნარებისა და სოციალური გადანაცვლებების პროგრამა“ ჩატარდა 6 ბენეფიციართან, 27 ინდივიდუალური სესია;
- 📁 „ჯანსაღი ცხოვრების წესის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ჩატარდა 1 ბენეფიციართან ერთხელ;
- 📁 „ემოციების რეგულაციის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ჩატარდა 1 ბენეფიციართან ერთხელ;
- 📁 არტ-თერაპიის სარეაბილიტაციო პროგრამა ჩატარდა 4 ბენეფიციართან 17-ჯერ;
- 📁 საკვები პროდუქტები გაიცა 139 ოჯახზე.

1.3 არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის რეგიონული გაფართოება

- 📁 22 ოქტომბერს, ქალაქ ხაშურში გაიხსნა არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის მეოთხე რეგიონული ოფისი.

1.4 კულტურულ-შემეცნებითი და არაფორმალური განათლების ღონისძიებები

- 📁 17 იანვარს, პროექტს „ლიტერატურული საღამო“ დაესწრო 1 ბენეფიციარი;
- 📁 პროექტი „ანიმაციების ხელოვნება“ განხორციელდა თებერვლიდან მაისის ჩათვლით, რომელშიც ჩართული იყო 19 ბენეფიციარი.
- 📁 7 მარტს, 3 და 8 მარტის დღესასწაულებთან დაკავშირებით, განხორციელდა სააგენტოს ბენეფიციარების მშობლებისთვის მისალოცი ღონისძიება, რომელსაც დაესწრო 9 მშობელი;
- 📁 მარტის თვეში, განხორციელდა ფილმების ჩვენება-განხილვები თბილისში, ბათუმსა და თელავში, რომელსაც დაესწრო 6 ბენეფიციარი;
- 📁 9 მარტს, ჩატარდა თიხაზე მუშაობის მასტერკლასი, რომლის ფარგლებშიც 3-მა ბენეფიციარმა თიხის ნაკეთობები დაამზადა;
- 📁 14 მარტს, ბათუმში ფილმის ჩვენება და განხილვა გაიმართა, რომელსაც 2 ბენეფიციარი დაესწრო;
- 📁 27 და 29 მარტს, პროფესიული ორიენტაციის მიზნით, თითო არასრულწლოვნისთვის, განხორციელდა ვიზიტი პროფესიულ სასწავლებელ „იკარუსსა“ და კომპანია „Skillwill Georgia“-ში;

- 📁 29 მარტს, ჩატარდა თიხაზე მუშაობის მასტერკლასი, რომლის ფარგლებშიც 5-მა ბენეფიციარმა დაამზადა თიხის ნაკეთობები.
- 📁 აპრილის თვეში, პროექტში „ანიმაციების ხელოვნება“ ჩაერთო 9 ბენეფიციარი;
- 📁 3 და 4 აპრილს, განხორციელდა ვიზიტები მოზარდ-მაყურებელთა და რუსთაველის თეატრებში, რომელსაც დაესწრო 2 ბენეფიციარი;
- 📁 3 აპრილს, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით, განხორციელდა ვიზიტი საქართველოს რაგბის ეროვნული ნაკრების სანვრთნელ ბაზაზე, რომელშიც ჩართული იყო 4 ბენეფიციარი;
- 📁 4 აპრილს, კახეთის რეგიონში შედგა ფილმის ჩვენება და განხილვა, რომელსაც 5 ბენეფიციარი დაესწრო;
- 📁 11 აპრილს, განხორციელდა ვიზიტი ზაზა ფაჩულიას აკადემიაში, რომელშიც ჩართული იყო 2 არასრულწლოვანი;
- 📁 15 აპრილს, არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში ჩატარდა ფილმის ჩვენება და განხილვა, რომელსაც 2 ბენეფიციარი დაესწრო;
- 📁 17 აპრილს, ჩატარდა თიხაზე მუშაობის მასტერკლასი, რომელშიც 2 ბენეფიციარი ჩაერთო;
- 📁 24 აპრილს, განხორციელდა ვიზიტი გლდანის პროფესიულ სასწავლებელში, რომელსაც 1 ბენეფიციარი დაესწრო;
- 📁 14 მაისს, ოჯახების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, „აზროვნების აკადემიაში“ განხორციელდა შეხვედრა ფსიქოლოგთან, რომელსაც 3 ბენეფიციარი და 4 მშობელი დაესწრო;
- 📁 20 მაისს, გურჯაანში, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, განხორციელდა შემეცნებით-გასართობი ხასიათის ღონისძიება, რომელსაც 7 ბენეფიციარი დაესწრო;
- 📁 22-23 მაისს, ქალაქ ბათუმში, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, განხორციელდა შემეცნებით-გასართობი ხასიათის ღონისძიებები, რომელსაც 8 ბენეფიციარი დაესწრო;
- 📁 27 მაისს, ქალაქ ახალციხეში, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით განხორციელდა შემეცნებით-გასართობი ხასიათის ღონისძიება, რაბათის ციხის ტერიტორიაზე, რომელსაც 4 ბენეფიციარი და მათი მშობლები დაესწრნენ;

- 📁 30 მაისს, ქალაქ თბილისში, ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, „ექსპერიმენტორიუმში“, განხორციელდა შემეცნებით-გასართობი ხასიათის აქტივობა, რომელსაც 6 ბენეფიციარი დაესწრო;
- 📁 7 ივნისს, თბილისსა და 12 ივნისს, აჭარის რეგიონში მცხოვრები ბენეფიციარებისათვის, ჩატარდა თიხაზე ძერწვის მასტერკლასი, რომელშიც 4 ბენეფიციარი ჩაერთო;
- 📁 13 ივნისს, ჩატარდა ფილმის ჩვენება-განხილვა აჭარაში მცხოვრები ბენეფიციარებისთვის, რომელსაც 2 არასრულწლოვანი დაესწრო;
- 📁 20 ივნისს, ლიბერთი ბანკთან და ბიზნეს ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, განხორციელდა ეფექტური კომუნიკაციისა და ელექტრონული მიმოწერის ტრენინგი, რომელსაც 3 ბენეფიციარი დაესწრო;
- 📁 29 ივლისს, გორის მუნიციპალიტეტში განხორციელდა აქტივობა პროექტ „ზაფხულის დღეების“ ფარგლებში, რომლის მიზანს წარმოადგენდა არასრულწლოვნებში ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია. აქტივობას 3 ბენეფიციარი და ბენეფიციართა 3 ოჯახის წევრი დაესწრო;
- 📁 8 აგვისტოს, განხორციელდა პროექტი „ერთი დღე პროფესიონალთან“, რომელსაც 1 ბენეფიციარი დაესწრო;
- 📁 აგვისტოს თვეში, ცენტრის ერთ ბენეფიციარს ჩაუტარდა ფოტო ხელოვნების მასტერკლასი;
- 📁 11 და 30 ოქტომბერს, თბილისსა და ქუთაისში გაიმართა ფილმის ჩვენება, რომელსაც 3 ბენეფიციარი (1 თბილისში და 2 ქუთაისში) დაესწრო;
- 📁 25 ნოემბერს, ჩატარდა ფილმის ჩვენება-განხილვა, რომელსაც 2 ბენეფიციარი დაესწრო;
- 📁 27 ნოემბერს, ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა ფსიქიატრ დავით ზურაბაშვილთან, რომელსაც 2 ბენეფიციარი დაესწრო;
- 📁 29 ნოემბერს, განხორციელდა ვიზიტი იუსტიციის სახლის ჰოლოგრამულ მუზეუმში, რომელსაც 4 ბენეფიციარი დაესწრო;
- 📁 12 დეკემბერს, ჩატარდა ახალი წლის მისალოცი ღონისძიება, რომელსაც 3 ბენეფიციარი დაესწრო;

1.5 სამუშაო შეხვედრები და ღონისძიებები

- 📁 იანვრის თვეში, ევროსაბჭოს „პომპიდუ“ ჯგუფის მხარდაჭერით, „ოჯახის გაძლიერების პროგრამის“ პილოტირების საკითხებზე შედგა სამუშაო შეხვედრა;
- 📁 22-23 თებერვალს, არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის წარმომადგენლები დაესწრნენ სამუშაო შეხვედრას ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე ბენეფიციარებისთვის სერვისების გაუმჯობესებისა და ინტეგრირების საკითხებზე;

- 📁 თებერვლის თვიდან, დაიწყო „ოჯახის გაძლიერების პროგრამის“ პილოტირება;
- 📁 თებერვლის თვეში, 7 სოციალური მუშაკი დაესწრო მუნიციპალური ჯგუფის 18 შეხვედრას;
- 📁 9-10 მარტს, არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის წარმომადგენლები დაესწრნენ სამუშაო შეხვედრას ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების ყველა სახის ძალადობისგან დაცვის 2025-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავების შესახებ;
- 📁 13 მარტს, არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის წარმომადგენლები დაესწრნენ ევროპის საბჭოს პროექტის „პენიტენციური სისტემის რეფორმების მხარდაჭერა საქართველოში“ წარდგენასა და მმართველი კომიტეტის პირველ სამუშაო შეხვედრას;
- 📁 14 მარტს, არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს არასრულწლოვანთა ცენტრალური მულტიდისციპლინური საბჭოს სხდომაში;
- 📁 15 მარტს, გაეროს ბავშვთა ფონდისა და ევროკავშირის პროექტის „ბავშვთა დაცვის სისტემების და მომსახურებების გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში, შედგა სამუშაო შეხვედრა ბავშვებში რთული ქცევის პრევენციის, ადრეული ჩარევისა და რეაგირების საკითხებზე;
- 📁 აპრილის თვეში, 6 სოციალური მუშაკი დაესწრო მუნიციპალური ჯგუფის 16 შეხვედრას;
- 📁 12 აპრილს, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების პროფესიული ზედამხედველები, 3 სოციალური მუშაკი და 2 ფსიქოლოგი დაესწრო ევროპის საბჭოს ორგანიზებით გამართულ გარე სუპერვიზიას;
- 📁 18 და 30 აპრილს, არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის საქმიანობის გაცნობის მიზნით, შედგა შეხვედრა თსუ-ს და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან;
- 📁 აპრილის თვეში, 4 სოციალური მუშაკი დაესწრო მუნიციპალური ჯგუფის 12 შეხვედრას;
- 📁 მაისის თვეში, ცენტრის 2 სოციალური მუშაკი, სოციალური მუშაკების პროფესიული ზედამხედველი და 2 ფსიქოლოგი დაესწრო გარე სუპერვიზიის ორ შეხვედრას;
- 📁 2024 წლის 28-31 მაისს, ევროპის საბჭოს „პომპიდუს“ ჯგუფის პროექტის ფარგლებში, სასწავლო ვიზიტი განხორციელდა იტალიაში, რომლის მიზანს წარმოადგენდა რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანთა რეაბილიტაციის იტალიური პრაქტიკის გაზიარება;
- 📁 ივნისის თვეში, ცენტრის 2 სოციალური მუშაკი, სოციალური მუშაკების პროფესიული ზედამხედველი, 3 ფსიქოლოგი და ფსიქოლოგების პროფესიული ზედამხედველი დაესწრო გარე სუპერვიზიის ორ შეხვედრას;

- 📁 8-9 ივლისს, სოციალური მეშავების პროფესიული ზედამხედველი და სოციალური მეშავი დაესწრნენ ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან დაკავშირებულ სამუშაო შეხვედრას;
- 📁 18-20 სექტემბერს, სოციალური მეშავების პროფესიულმა ზედამხედველმა, ფსიქო-სოციალური პროგრამების კოორდინატორმა, 6-მა სოციალურმა მეშავმა და 5-მა ფსიქოლოგმა გაიარა პროგრამა „სოციალური უნარებისა და სოციალური გადანაცვლებების“ სიმულაცია;
- 📁 22 და 23 ოქტომბერს, ცენტრის 5 ფსიქოლოგი დაესწრო არტ-თერაპიის ტრენინგს.
- 📁 12-22 ნოემბერს, არასრულწლოვანთა რეფერირების საკითხებზე გაიმართა მულტიუნცებრივი შეხვედრები გორში, ხაშურში, ახალციხესა და ქუთაისში.

1.6 დანაშაულის პირველი დონის პრევენცია

- 📁 დანაშაულის პირველი დონის პრევენციის მიზნით, ქვეყნის მასშტაბით, სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრები 150 საჯარო სკოლაში ჩატარდა, რომელსაც 3733 მოსწავლე დაესწრო.

1.7 დანაშაულის პრევენციის ონლაინ კურსი

- 📁 სააგენტოს წარმომადგენლებისა და ექსპერტების მიერ, ასევე, იუსტიციის სასწავლო ცენტრის ჩართულობით შეიქმნა და შესაბამის ონლაინ პლატფორმაზე განთავსდა დანაშაულის პრევენციის კურსის სკოლის მასწავლებლებისთვის.

2. განრიდება და მედიაცია

2.1 საქმეთა გადანაწილება

- 📁 საანგარიშო პერიოდში, მედიატორებს შორის გადანაწილდა მედიაციის 834 საქმე, გაიმართა მედიაციის 343 კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა 470 არასრულწლოვანი / 21 წლამდე ასაკის სრულწლოვანი პირი.

2.2 განრიდების საქმეთა მონიტორინგი

- 📁 განხორციელდა 1615 განრიდებისა და მედიაციის საქმის პროფესიული ზედამხედველობა/მონიტორინგი, მედიაციის პროცედურულ ან/და შინაარსობრივ ნაწილში; მედიაციის ინსტიტუციური განვითარების მენეჯერი დაესწრო სტაჟიორ-მედიატორის მონაწილეობით დაზარალებულ მხარესთან გამართულ 2 მოსამზადებელ შეხვედრას, განსარიდებელთან გამართულ 3 მოსამზადებელ შეხვედრასა და 3 მედიაციის კონფერენციას;

- 1144 განრიდების/განრიდებისა და მედიაციის საქმეზე, საქმეთა ინდივიდუალური მონიტორინგის ფარგლებში, მიემართა საქართველოს პროკურატურას.

2.3 სამუშაო შეხვედრები და ღონისძიებები

- 15, 16 და 18 იანვარს, „არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ეფექტურობის გაძლიერების“ პროექტის ფარგლებში, გაიმართა უწყებათაშორისი სამუშაო შეხვედრა არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის საკითხებზე. პროექტი გაეროს ბავშვთა ფონდისა და ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება.
- 13 თებერვალს, სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის პროექტის „მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში“ მმართველი კომიტეტის შეხვედრაში;
- 22-23 თებერვალს, განრიდებისა და მედიაციის დეპარტამენტის თანამშრომლები ესწრებოდნენ სამუშაო შეხვედრას ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე ბენეფიციარებისთვის სერვისების გაუმჯობესებისა და ინტეგრირების საკითხებზე;
- 14 მარტს, განრიდებისა და მედიაციის დეპარტამენტის თანამშრომლები ესწრებოდნენ არასრულწლოვანთა ცენტრალური მულტიდისციპლინური საბჭოს სხდომას;
- 22 მარტს, სააგენტოს წარმომადგენლები დაესწრნენ ევროკავშირის პროექტის „მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში გამართულ სამუშაო შეხვედრას „არასრულწლოვნები გისოსებს მიღმა“;
- 25 მარტს, განრიდებისა და მედიაციის დეპარტამენტის წარმომადგენლები შეხვდნენ ტაჯიკეთის დელეგაციის წარმომადგენლებს და გააცნეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით სააგენტოს საქმიანობა;
- 25 და 26 აპრილს, სააგენტოს ორგანიზებითა და ევროკავშირის პროექტის „მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში“ მხარდაჭერით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ კანონის პროექტის შესახებ, რომელსაც ესწრებოდნენ სააგენტოს წარმომადგენლები, მონვეული ექსპერტები, მოსამართლეები და საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლები;
- 26-27 აპრილს, სააგენტოს ორგანიზებითა და ევროკავშირის პროექტის „მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში“ მხარდაჭერით,— სამუშაო შეხვედრა გაიმართა სააგენტოს მედიატორებთან. მონვეული საერთაშორისო ექსპერტის მონაწილეობით, ჩატარდა დისკუსია განრიდებისა და მედიაციის პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებსა და სამომავლო გეგმებზე;
- 29 აპრილს, სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის პროექტის „მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში“ ორგანიზებით

გამართულ სამუშაო შეხვედრაში „აღდგენითი მართლმსაჯულების მექანიზმების გამოყენება პენიტენციურ დაწესებულებებში“;

- ☞ 1 მაისს, სააგენტოსა და ევროკავშირის პროექტის „მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში“ ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა მოწვეულ საერთაშორისო ექსპერტთან, მედიატორების გადამზადებისა და სპეციალიზაციის სასერტიფიკატო კურსის მოდულის განახლების საკითხებზე;
- ☞ 28-31 მაისს, განრიდებისა და მედიაციის დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობას იღებდნენ ესტონეთის ქალაქ ტალინში გამართულ აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული ფორუმის საერთაშორისო კონფერენციაში;
- ☞ 2024 წლის 11 ოქტომბერს, განრიდებისა და მედიაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩაატარეს ტრენინგი თემაზე „აღდგენითი მართლმსაჯულება და აღდგენითი მართლმსაჯულების საპილოტე პროგრამის იმპლემენტაცია პენიტენციურ დაწესებულებებში.“ ტრენინგს ორგანიზება გაუწია ევროკავშირის პროექტმა „მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში“.

2.4 მედიაციის რეგიონული სივრცეების გახსნა

- ☞ 2024 წელს, მედიაციის რეგიონული სივრცეები გაიხსნა დმანისში, დედოფლისწყაროში, ზესტაფონსა და სამტრედიიაში.

3. მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია

3.1. 2024 წლის განმავლობაში, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის სპეციალისტები მუშაობენ 6441 შემთხვევაზე.

ბენეფიციარის ტიპი	რაოდენობა
პირობით მსჯავრდებული	4421
თავისუფლების აღკვეთის შემდგომი პირობითი განრიდებული	976
არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებული	609
მომსახურებისთვის	139
წინასასამართლო ანგარიში	75
ყოფილი პატიმარი	74
	49

პვგ	41
27-ე მუხლის მე-4 პრიმა	23
საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა	21
შინაპატიმრობა	12
უვადო მსჯავრდებული	1
ჯამი	6441

3.2 2024 წლის განმავლობაში, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცი-რეაბილიტაციის დეპარტამენტში გადმოშისამართდა 5350 ახალი შემთხვევა.

ბენეფიციარის ტიპი	რაოდენობა
პირობით მსჯავრდებული	2372
განრიდებული	1177
თავისუფლების აღკვეთის შემდგომი პირობითი	704
წინასასამართლო ანგარიში	648
პვგ	221
არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებული	87
მომსახურებისთვის	68
27-ე მუხლის მე-4 პრიმა	48
შინაპატიმრობა	9
საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა	8
ყოფილი პატიმარი	1
უვადო მსჯავრდებული	7
ჯამი	5350

3.3 2024 წლის განმავლობაში, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცი-რეაბილიტაციის დეპარტამენტში მომზადდა 3099 ინდივიდუალური ანგარიში.

ბენეფიციარის ტიპი	რაოდენობა
27-ე მუხლის მე-4 პრიმა	41
არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებული	54

განრიდებული	982
თავისუფლების აღკვეთის შემდგომი პირობითი	244
პვგ	194
პირობით მსჯავრდებული	970
უვადო მსჯავრდებული	7
ყოფილი პატიმარი	1
შინაპატიმრობა	4
წინასასამართლო ანგარიში	602
ჯამი	3099

3.4 2024 წელს, სარეაბილიტაციო პროგრამა დაასრულა, სარეაბილიტაციო მომსახურებით ისარგებლა მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის 1927-მა ბენეფიციარმა.

პროგრამებსა და მომსახურებებში ჩართული ბენეფიციარების უნიკალური რაოდენობა

ბენეფიციარის ტიპი	რაოდენობა
განრიდებული	976
პირობით მსჯავრდებული	662
თავისუფლების აღკვეთის შემდგომი პირობითი	169
მომსახურებისთვის	70
არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებული	20
ყოფილი პატიმარი	7
27-ე მუხლის მე-4 პრიმა	6
პვგ	4
საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა	3
წინასასამართლო ანგარიში	2
უვადო მსჯავრდებული	8
ჯამი	1927

პროგრამების / მომსახურებების რაოდენობა ბენეფიციართა ტიპის მიხედვით

ბენეფიციარის ტიპი	რაოდენობა
განრიდებული	2862
პირობით მსჯავრდებული	825
თავისუფლების აღკვეთის შემდგომი პირობითი	228

მომსახურებისთვის	71
ყოფილი პატიმარი	60
არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებული	31
27-ე მუხლის მე-4 პრიმა	10
პვგ	5
საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა	4
წინასასამართლო ანგარიში	2
უვადო მსჯავრდებული	8
ჯამი	4106

პროგრამების / მომსახურებების რაოდენობა კატეგორიების მიხედვით

მომსახურების კატეგორია	რაოდენობა
ფსიქო-სოციალური	2670
მოხალისეობრივი საქმიანობა	302
სპორტულ-კულტურულ-რეკრეაციული ღონისძიებები	289
საგანმანათლებლო	254
საინფორმაციო	251
სოციალური მომსახურება	145
პროსოციალური	137
სამედიცინო მომსახურება	75
პროფესიული გადამზადება	2
განრიდების პირობა	1
ჯამი	4106

პროგრამების / მომსახურებების რაოდენობა ტიპის მიხედვით

მომსახურების ტიპი	რაოდენობა
სოციალური მუშაკის კონსულტაცია	1137
ფსიქოლოგის კონსულტაცია	368
მოხალისეობრივი საქმიანობის განხორციელება	289
კულტურულ-შემეცნებითი აქტივობა	279
ესეს შედგენა და განხილვა	242
დანაშაულის გააზრება	241
ცხოვრებისეული ფასეულობები	234
ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე	219
ორიენტირებული სწავლების კურსი	

სამართლის ქალაქი	160
საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა	144
ინტერპერსონალური კომუნიკაცია	123
ემოციების რეგულაცია	105
დანაშაულის გააზრება მოზარდებისთვის	100
მომავლის დაგეგმვა	88
ტესტირება ჰეპატიტებზე, აივ/შიდსა და სხვა ვენერიულ დაავადებებზე	75
დანაშაულის გააზრება ზრდასრულებისთვის	62
პრევენციის მომზადება	53
ცხოვრების ჯანსაღი წესი	31
საინფორმაციო შეხვედრა	28
რელაქსის პრევენცია	17
სოციალური და კოგნიტური უნარების სასწავლო პროგრამა	17
შეხვედრა ცნობილ ადამიანთან	13
თანასწორობის პროგრამა	9
აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების დაძლევის პროგრამა	8
კონფლიქტების მართვა და ასერტული ქცევა	7
შემეცნებითი ვიზიტი / ექსკურსია	6
პოზიტიური მშობლობა	4
ბრაზის მართვის სატრენინგო მოდული	4
სპექტაკლზე დასწრება	4
სუიციდის პრევენცია	3
საგზაო მოძრაობა - წიგნი	3
„საგზაო მოძრაობა (რატომ ვატარებთ მანქანას ისე, როგორც ვატარებთ, და რას ამბობს ეს ჩვენს შესახებ)“	
კინოკლუბი	3
ფეფქტური კომუნიკაცია	2
თვითშეფასების, ახალი შესაძლებლობის განვითარების ხელშეწყობის სატრენინგო მოდული	2
ძალადობის რაობა და მისგან დაცვის საკანონმდებლო მექანიზმები	2
პოზიტიური უნარ-ჩვევების პროგრამა	2
ტრენინგი "სისხლის სამართალი"	2
უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა	8

არტ თერაპია	2
პროფესიული კურსები IT მიმართულებით	1
პროფესიული გადამზადება	1
დანაშაულის გაცნობიერება	1
ფსიქიკურ და სომატომორფულ აშლილობათა კლინიკა და კლასიფიკაცია	1
ცხოვრებისეული რისკები და პიროვნული რესურსები	1
აგრესიის მართვა	1
ID ბარათის დამზადება	1
ადამიანის უფლებების, მონყვლადი ჯგუფებისადმი ტოლერანტობის განვითარება	1
სოციალურ გარემოში ადაპტაცია	1
პრობაციის ოფიცრის კონსულტაცია	1
ჯამი	4106

3.5 სამუშაო შეხვედრები და ღონისძიებები

- 📁 29 იანვარს, გაიმართა შეხვედრა სააგენტოს წარმომადგენლებსა და ორგანიზაცია „გამოსავალს“ შორის. შეხვედრის მიზანს წარმომადგენდა ფსიქოაქტიური ნივთიერების მოხმარების გამოცდილების მქონე სააგენტოს ბენეფიციართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობა;
- 📁 22-23 თებერვალს, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის წარმომადგენლები დაესწრნენ სამუშაო შეხვედრას ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე ბენეფიციარებისთვის სერვისების გაუმჯობესებისა და ინტეგრირების საკითხებზე;
- 📁 28 თებერვალს, გაიმართა ევროკავშირისა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი პროექტის „ბავშვთა დაცვის სისტემების და მომსახურებების გაძლიერება საქართველოში“ მმართველი კომიტეტის შეხვედრა, რომელსაც საერთაშორისო ექსპერტებთან და პროექტის მონაწილე უწყებებთან ერთად, სააგენტოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ;
- 📁 14 მარტს, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის წარმომადგენლები დაესწრნენ არასრულწლოვანთა ცენტრალური მულტიდისციპლინური მმართველი საბჭოს სხდომას.
- 📁 19 მარტს, შეხვედრა შედგა ევროპის საბჭოს ექსპერტებთან შეხვედრისას, განხილული იქნა სქესობრივ დანაშაულებზე გასამართლებული პირებისთვის ქცევის კორექციის პროგრამის შემუშავებისა და დანერგვის საკითხი;

- 📁 23-24 მარტს, ევროკავშირის მხარდაჭერით გამართულ სამუშაო შეხვედრაზე, იუსტიციის სამინისტროს, პრობაციის სისტემის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის, იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და მსჯავრდებულთა მომზადება-გადამზადების ცენტრის წარმომადგენლებმა 2024 წლის სამოქმედო გეგმები წარმოადგინეს. განხილული იქნა მიმდინარე წლებში შემთხვევის მართვის პროცესის, გარდამავალი მენეჯმენტისა და MAPPA მექანიზმის აქტუალური საკითხები;
- 📁 26 - 27 მარტს, საზოგადოებრივი დაცვის მექანიზმის - MAPPA-ს განხილვისა და პროექტის სამომავლო აქტივობების დაგეგმვის მიზნით, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის სპეციალისტებსა და ევროკავშირის პროექტის „მართლმსაჯულების რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში“ წარმომადგენლებს შორის სამუშაო შეხვედრები გაიმართა;
- 📁 12 აპრილს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის შედგა სამუშაო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მოწვეული ექსპერტის ჩართულობით, სპეციალისტებს გაეცნიათ პროფესიული ზედამხედველობა;
- 📁 25-26 აპრილს, ევროკავშირის მხარდაჭერით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა აღდგენითი მართლმსაჯულების მექანიზმების განვითარების საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტის შესახებ;
- 📁 15 და 17 მაისს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, სადაც მათ მოწვეული ექსპერტის ჩართულობით გაეცნიათ პროფესიული ზედამხედველობა.
- 📁 21 მაისს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, შედგა სამუშაო შეხვედრა საერთაშორისო ექსპერტთან, ალკოჰოლდამოკიდებულების მქონე პირებისთვის სარეაბილიტაციო პროგრამის შექმნის მიზნით;
- 📁 14 ივნისს, ევროკავშირის მხარდაჭერით, გაიმართა სემინარი „რისკისა და საჭიროებების შეფასების ჩარჩო – პრაქტიკაში არსებული გამოწვევების მიმოხილვა“. შეხვედრას დაესწრო მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის 9 სპეციალისტი;
- 📁 20 ივნისს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის ჩატარდა სამუშაო შეხვედრა. სპეციალისტებს, მოწვეული ექსპერტის ჩართულობით, გაეცნიათ

პროფესიული ზედამხედველობა. შეხვედრაზე განიხილეს პენიტენციურ სამსახურთან და არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრთან გარდამავალი შემთხვევები;

- 📁 26 ივნისს, ევროკავშირის მხარდაჭერით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის დამტკიცების შესახებ. დამუშავდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რისკისა და საჭიროების შეფასების ფორმა.
- 📁 8-9 ივლისს, გაიმართა სამუშაო შეხვედრა ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების თემაზე, რომელსაც ესწრებოდა მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის 2 სპეციალისტი;
- 📁 18 ივლისს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, გაიმართა „პოზიტიური მშობლობის“ პროგრამის პილოტირების ეტაპის შემაჯამებელი შეხვედრა მონაწილე უწყებების წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან ერთად.
- 📁 1 აგვისტოს, არასამთავრობო ორგანიზაციის „ალტერნატივა ჯორჯია“ წარმომადგენლებთან განხორციელდა შეხვედრა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებელი ბენეფიციარებისთვის მიწოდებული მომსახურების შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით;
- 📁 8-9 აგვისტოს, ევროკავშირის მხარდაჭერით, გაიმართა შეხვედრა „კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანების პროექტთან დაკავშირებით.
- 📁 16 სექტემბერს, ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში, გაიმართა სამუშაო შეხვედრა ალკოჰოლდამოკიდებულ პირთა სარეაბილიტაციო პროგრამის განხილვის მიზნით.
- 📁 18 სექტემბერს, ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში, გაიმართა სამუშაო შეხვედრა „პოზიტიური მშობლობის“ პროგრამის პილოტირების შედეგების საბოლოო შეფასებისა და ფოკუს-ჯგუფების დაგეგმვის მიზნით.
- 📁 23-27 სექტემბერს, შეფასების რიგით IV რაუნდის ფარგლებში, გაიმართა სამუშაო შეხვედრა ადამიანი ვაჭრობის საკითხებში ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) მონიტორინგის წევრებთან. შეფასების თემატიკა მოიცავდა ტრეფიკინგისადმი მოწყვლადი ჯგუფების დანაშაულისგან დაცვას;

- 📁 7-9 ოქტომბერს, ევროკავშირის მხარდაჭერით, გაიმართა „დანაშაულის გააზრების“ პროგრამის სიმულაცია, რომელსაც ესწრებოდა სოციალური მუშაკების 2 პროფესიული ზედამხედველი, 2 ფსიქოლოგი და 18 სოციალური მუშაკი;
- 📁 10-11 ოქტომბერს, ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრა ბავშვთა შეფასების სისტემებისა და უწყებათაშორისი თანამშრომლობის ანალიზის შესახებ;
- 📁 26-28 ნოემბერს, ევროკავშირის მხარდაჭერით, გაიმართა პროგრამის „ინტერპერსონალური კომუნიკაციის“ სიმულაცია.
- 📁 3-5 დეკემბერს, ევროპის საბჭოს ორგანიზებით ჩატარდა „ალკოჰოლზე დამოკიდებულების მქონე პირების სარეაბილიტაციო პროგრამის“ სიმულაცია, რომელსაც ესწრებოდნენ მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის სპეციალისტები.

3.6 აქტივობები

- 📁 29 თებერვალს, განხორციელდა ღია კარის დღე ორგანიზაციაში „გამოსავალი“. შეხვედრაზე ორგანიზაციის წარმომადგენლებმა სააგენტოს ბენეფიციარებს წარუდგინეს პროექტი „ინფორმირება, გაძლიერება და მოტივირება ფსიქოაქტიური ნივთიერების მოხმარების გამოცდილების მქონე ყოფილ მსჯავრდებულთა და პრობაციონერთა რესოციალიზაციის ფარგლებში“;
- 📁 28 თებერვალს, წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სააგენტოს არასრულწლოვანი და ახალგაზრდა ბენეფიციარებისთვის ღონისძიება ჩატარდა. მოწვეულმა სტუმარმა - ჟურნალისტმა და მწერალმა ეკატერინე ტოგონიძემ ბენეფიციარებს მხატვრული ლიტერატურის მნიშვნელობასა და საკუთარ გამოცდილებაზე ესაუბრა;
- 📁 მარტის თვეში, პროექტის „მოხალისე პედაგოგი“ ფარგლებში, განრიდებული პირებისთვის ინგლისური ენის შემსწავლელი ჯგუფი ჩამოყალიბდა;
- 📁 მარტის თვეში, სააგენტოში პრაქტიკის გავლის მიზნით, გასაუბრება ჩატარდა სოციალური მუშაობის მიმართულების ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებთან;
- 📁 6 მარტს, სააგენტოს არასრულწლოვანი და ახალგაზრდა გოგონა ბენეფიციარები ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში იმყოფებოდნენ, სადაც მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, გაცნობოდნენ შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამას „ქალები წარსულიდან“;
- 📁 მარტის თვეში, ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, პრობაციონერი ქალები, მარჯანიშვილის თეატრში სპექტაკლს დაესწრნენ;
- 📁 1 მაისს, მოზარდი და ახალგაზრდა ბენეფიციარებისთვის განხორციელდა შემეცნებითი ვიზიტი სოციალურ საწარმოში „პოტერია“, სადაც ბენეფიციარებს ჩაუტარდათ თიხაზე მუშაობის მასტერკლასი;

- 📁 მაისის თვეში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრებმა ბენეფიციარებმა, სოციალურ მუშაკთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში, რომელიც ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად გაიმართა;
- 📁 მაისის თვეში, „მოხალისე პედაგოგის“ პროექტის ფარგლებში, ბენეფიციარებისთვის განხორციელდა ინდივიდუალური გაკვეთილები ინგლისური ენის შესწავლის მიზნით;
- 📁 1 ივნისს, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრებმა ბენეფიციარებმა, სოციალურ მუშაკთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში, რომელიც გაიმართა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღნიშვნის მიზნით;
- 📁 3 ივნისს, სოციალურ სანარმოში „კოდალა“, შედგა სააგენტოს ბენეფიციართა ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც ისინი ხის სათამაშოებისა და სასუვენირო ნაკეთობების დამზადების პროცესში ჩაერთნენ;
- 📁 სააგენტოში პრაქტიკის გავლის მიზნით, განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის მიმართულების სტუდენტების მიღება.
- 📁 9 აგვისტოს, 11 განრიდებული ბენეფიციარისთვის განხორციელდა შემეცნებითი ვიზიტი/ტრენინგი პირველადი დახმარების ცენტრში;
- 📁 1 ოქტომბერს, „Silk Factory Studio“-ში მხატვარმა ნინა ვადაჭკორიამ სააგენტოს 7 ბენეფიციარს ჩაუტარა ხატვის მასტერკლასი;
- 📁 11 ოქტომბერს, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ სანავარდოში, სააგენტოს 10 ბენეფიციარს კომპანია „ასკანელმა“ უმასპინძლა, სადაც ისინი გაეცნენ ღვინის წარმოების ტექნოლოგიას, ვენახისა და ყურძნის მოვლა-მოყვანის ტექნიკას;
- 📁 ოქტომბრის თვეში, თბილისსა და რეგიონებში არსებულ პრობაციის ბიუროებში „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ მხარდაჭერით, სააგენტოს 74 ბენეფიციართან გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა და სკრინინგი ვირუსულ ინფექციებზე (აივ/შიდსი, ჰეპატიტები, სიფილისი);
- 📁 ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კამპანიის „ნარინჯისფერი კვირეულის“ ფარგლებში, სააგენტოს ინიციატივითა და ეროვნული სკრინინგ ცენტრის მხარდაჭერით, 7 ქალი პრობაციონერისთვის ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა. სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის მხარდაჭერით, თელავში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში, 30 ქალ მსჯავრდებულებთან ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები.

4. კვლევითი საქმიანობა

- 📁 მომზადდა არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის ბენეფიციართა კრიმინოლოგიური მახასიათებლების კვლევის ანგარიში;
- 📁 მომზადდა 2023 წლის მედიაციის პროცესით კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- 📁 2024 წლის მედიაციის პროცესით კმაყოფილების კვლევისთვის მიმდინარეობდა მონაცემების შეგროვება;
- 📁 ჩატარდა განრიდებული პირების, მსჯავრდებულების და ყოფილი პატიმრების მიმართ, პოტენციურ დამსაქმებელთა განწყობების კვლევა;
- 📁 ჩატარდა ბალტიის ქვეყნების, პოლანდიისა და ბელგიის პრობაციის სისტემების ანალიზი;
- 📁 ძალადობრივი ქცევის კორექციის სარეაბილიტაციო მოდულის ეფექტიანობის შეფასებისთვის, მომზადდა სიღრმისეული ინტერვიუს კითხვარი პრობაციონერებისთვის, რომელთაც გაიარეს აღნიშნული სარეაბილიტაციო პროგრამა;
- 📁 კრიმინალურ ქცევასა და დანაშაულის რეციდივთან არასრულწლოვან პრობაციონერთა პიროვნული მახასიათებლების კავშირის კვლევის ფარგლებში, მიმდინარეობდა მონაცემების შეგროვება.

5. პროფესიული განვითარება

5.1 ჩატარებული ტრენინგები

- 📁 სპეციალიზაციის კურსი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში - 14 მონაწილე;
- 📁 ფსიქიკური ჯანმრთელობის პრაქტიკული გამკვლევი - 2 მონაწილე;
- 📁 პერსონალურ მონაცემთა დაცვა - 6 მონაწილე;
- 📁 ტრენერთა ტრენინგი პრობაციონერთა საორიენტაციო კურსის თემატიკაზე - 18 მონაწილე;
- 📁 პრობაციის ოფიცრის სპეციალური სასწავლო კურსი - 31 მონაწილე;
- 📁 პირველადი სამედიცინო დახმარება - 8 მონაწილე;
- 📁 რაოდენობრივი მონაცემების დამუშავება და საბაზისო სტატისტიკური ანალიზი SPSS-ის საშუალებით - 2 მონაწილე;
- 📁 ინტერ და ინტრაპერსონალური კომუნიკაციები, გუნდის მშენებლობა და მოტივაცია - 28 მონაწილე;
- 📁 პროფესიული სტრესი და გადაწვის პრევენცია - 43 მონაწილე;
- 📁 შესყიდვების განახლებული კანონმდებლობა - 2 მონაწილე;
- 📁 გუნდური შეჭიდულობა - 48 მონაწილე;
- 📁 საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და ადამიანის უფლებები - 2 მონაწილე;
- 📁 დასაქმებულთა დაცვა ევროკავშირში - 17 მონაწილე.

6. საერთაშორისო თანამშრომლობა

- 6.1 აშშ-თან თანამშრომლობა** - 16 თებერვალს, აშშ-ს საელჩომ (INL) სააგენტოს 50 ერთეული ელექტრონული მონიტორინგის ახალი აპარატურა (ელექტრონული სამაჭურები და მიმღები მონწყობილობები) და PROBBOX-ის 10 ახალი მონწყობილობა გადასცა.
- 6.2 CEP-ის რეკომენდაციები ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ** - 3-4 აპრილს, ლატვიის დედაქალაქ რიგაში, სააგენტოს ანალიტიკურმა დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო პრობაციის ევროპული კონფედერაციის (CEP) ტექნოლოგიების ექსპერტთა ჯგუფის მორიგ შეხვედრაში, რომლის ფარგლებშიც, გაგრძელდა მუშაობა პრობაციის სფეროში ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ რეკომენდაციების დოკუმენტზე. ღონისძიების ფარგლებში, ჯგუფის მორიგი შეხვედრა, 2025 წლის 2-3 აპრილს, თბილისში დაიგეგმა. რეკომენდაციების დოკუმენტი, რომელიც ნოემბერში გამოქვეყნდა, ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე, მიმოიხილავს პრობაციის სფეროში დიגיტიზაციის და ტექნოლოგიების გამოყენების პრინციპებს და ეთიკურ ნორმებს, ასევე, ტექნოლოგიების მნიშვნელობას დისტანციურ, პირისპირ და ჰიბრიდულ რეჟიმში მუშაობასა და ზედამხედველობაში. რეკომენდაციების „კარგი პრაქტიკების თავში“ აღნიშნულია PROBBOX-ი, როგორც თვითმომსახურებისა და სავალდებულო გამოცხადების მონწყობილობის ერთადერთი მაგალითი. აქვე, მოყვანილია დისტანციური მედიაციის მოდელი, რომელსაც სააგენტო 2020 წლიდან წარმატებულად იყენებს.
- 6.3 პრობაციის VI მსოფლიო კონგრესი** - 16-18 აპრილს, ჰოლანდიის ქალაქ ჰააგაში, სააგენტოს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო პრობაციის VI მსოფლიო კონგრესზე, სადაც წარადგინა პრეზენტაცია ტექნოლოგიებისა და რეაბილიტაციის სფეროში ინოვაციური მიდგომების შესახებ.
- 6.4 ლიეტუვას დელეგაციის ვიზიტი** - 7 მაისს, სააგენტომ ლიეტუვას იუსტიციის მინისტრის მოადგილეს, როკას უსცილასა და ლიეტუვას პრობაციის სამსახურის უფროსს, რომას ოსტანავიჩიუსს უმასპინძლა. შეხვედრაზე განხილული იქნა საქართველოსა და ლიეტუვას შორის პრობაციის სფეროში თანამშრომლობის შესაძლებლობები.
- 6.5 ცენტრალური აზიის ქვეყნების პრობაციის ფორუმი** - 12-13 ივნისს, სააგენტოს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისისა და ევროკავშირის ეგიდით გამართულ საერთაშორისო ფორუმში, რომელიც ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკში გაიმართა. ფორუმზე განიხილეს რეაბილიტაცია-რესოციალიზაციისა და ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით საქართველოს გამოცდილება.
- 6.6 დანაშაულის პრევენციის საერთაშორისო კონფერენცია** - 25-26 ივლისს, სააგენტოს ორგანიზებით, გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „ყოველმომცველი მიდგომა დანაშაულის პრევენციისთვის“, რომელიც მიზნად ისახავდა საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას დანაშაულის სამივე დონის პრევენციის

მიმართულებით. კონფერენციის ფარგლებში შედგა ევროპელი მკვლევრების - სტივ პიტსისა და ლეო ტიგესის მიერ საქართველოს პრობაციის სისტემის შესახებ მომზადებული კვლევის ანგარიშის პრეზენტაცია, სადაც სააგენტოს საქმიანობას მაღალი შეფასება აქვს მიცემული. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს პრობაციის ევროპული კონფედერაციის (CEP), ინგლისის, ნიდერლანდების, ჩეხეთის, ხორვატიის, რუმინეთისა და აზერბაიჯანის დელეგატებმა. კონფერენციაზე ხელმოწერილი დეკლარაციის მიხედვით, მონაწილეები ხელს შეუწყობენ, აქტიური თანამშრომლობის გზით, დანაშაულის სამივე დონის პრევენციის შესაძლებლობების განვითარებით, საზოგადოების უსაფრთხოების განმტკიცებას;

- 6.7 CEP-ის ვებინარი** - 21 ნოემბერს, პრობაციის ევროპული კონფედერაციის (CEP) ინიციატივით, სააგენტოს წარმომადგენელმა ჩაატარა ვებინარი თემაზე „საქართველოს პრობაციის სისტემაში რისკისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტი“.

7. საქმიანობის სტატისტიკა

7.1. არასაპატიმრო სასჯელები და პრობაცია

სტატისტიკა 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

საერთო რაოდენობა (მოიცავს თ.ა.შ. საპრობაციო ვადადანიშნულს)	24824
მოქმედი საერთო რაოდენობა	22205
მოქმედი საერთო რაოდენობა (თბილისი)	8697
პირობითი მსჯავრი	21017
პირობითი მსჯავრი (თბილისი)	8265
სასჯელის მოხდისგან პვე	135
სასჯელის მოხდისგან პვე (თბილისი)	78
არასაპატიმრო სასჯელები	2907
თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა	983
ძირითადი სასჯელი	235
დამატებითი სასჯელი	748
არასაპატიმრო სასჯელები (თბილისი)	941
საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა	1014
ძირითადი სასჯელი	310
დამატებითი სასჯელი	704
საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა (თბილისი)	258
შინაპატიმრობა	247
შინაპატიმრობა (თბილისი)	142
იურიდიული პირისათვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა	36
იურიდიული პირისათვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა (თბილისი)	22
გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნა	0
გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნა (თბილისი)	0
სასჯელის მოხდაგადავადებული	5
სასჯელის მოხდაგადავადებული (თბილისი)	5

სტატისტიკა 2024 წლის 27 დეკემბრის მდგომარეობით

საერთო რაოდენობა (მოიცავს თ.ა.შ. საპრობაციო ვადადანიშნულს)	19826
--	-------

მოქმედი საერთო რაოდენობა	17439
მოქმედი საერთო რაოდენობა (თბილისი)	6658
პირობითი მსჯავრი	16494
პირობითი მსჯავრი (თბილისი)	6335
სასჯელის მოხდისგან პევ	88
სასჯელის მოხდისგან პევ (თბილისი)	41
არასაპატიმრო სასჯელები	2933
თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა	835
ძირითადი სასჯელი	230
დამატებითი სასჯელი	605
არასაპატიმრო სასჯელები (თბილისი)	833
საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა	930
ძირითადი სასჯელი	229
დამატებითი სასჯელი	701
საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა (თბილისი)	252
შინაპატიმრობა	190
შინაპატიმრობა (თბილისი)	96
იურიდიული პირისათვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა	55
იურიდიული პირისათვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა (თბილისი)	33
გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნა	0
გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნა (თბილისი)	0
სასჯელის მოხდაგადავადებული	5
სასჯელის მოხდაგადავადებული (თბილისი)	3
ამნისტია	
სასამართლოებიდან დაბრუნებული საქმეები	13216
პრობაცია დასრულდა	6108

- 📁 წლის განმავლობაში აღსასრულებლად შემოვიდა 13856 საქმე;
- 📁 წლის განმავლობაში დასრულდა 17429 საქმე.

📁 **PROBBOX-ის გამოყენების წლიური მაჩვენებელი - 2024 წელს, ბენეფიციარებმა PROBBOX-ით 249911-ჯერ ისარგებლეს.**

II. ადამიანური რესურსების მართვა

2.1 მონაცემებით 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

საშტატო ერთეული - 319

- 📁 საშტატო პოზიცია - 299;
- 📁 ვაკანსია - 20;
- 📁 შრომითი ხელშეკრულება - 163;
- 📁 სტაჟიორი ანაზღაურების გარეშე - 4;
- 📁 პრაქტიკანტი - 17.

ჯამში: 483 თანამშრომელი, მათ შორის:

- 📁 პრობაციის ოფიცერი - 166;
- 📁 სოციალური მუშაკი - 54;
- 📁 ფსიქოლოგი - 23;
- 📁 მედიატორი - 15;
- 📁 ორგანიზაციული მხარდაჭერის დეპარტამენტის სპეციალისტი/ოპერატორი - 15.

2.2 მონაცემები 31 დეკემბრის მდგომარეობით

საშტატო ერთეული - 378

